# ცნობის ფურცელი

IV წ. | ყოველ დღიური გაზეთი კვირა-უქმეების შემდეგაც. — ხუთშაბათი, 2 დეკემბერი 1899 წ. | № 977.

**გაზეთი ღირს:** წლიწადში—6 მანეთი, თვეში—75 კაპიკი, ცალკე ნომერი 3 კაპ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი—პირველ გვერდზე—10 კ. მეოთხეზე—5 კ.
ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბის" და „ცნობის ფურცლის" რედაქციაში (ვანქის ქუჩა, № 27) წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიაში და ქართველთა წიგ. გამომც. ამხ. კიოსკში (ქვაშვეთის ეკლესიის პირდაპირ).

რედაქცია იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, სახლი № 27 მარტიროზოვისა.—ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. — დასაბეჭდი ნაწერები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.
პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე კვირა-უქმეების გარდა 11 საათიდან 1 საათამდე (შუა დღით).
ტელეფონი № 372.—ფოსტის ადრესი: Тифлисъ редакція „Цнобисъ Пурцели".

## ქართული თეატრი

ხუთშაბათს, 2 დეკემბერს,

ქართულის დრამატიულის საზოგადოების არტისტებისაგან წარმოდგენილი იქნება

მოსკოვის ღარიბ სტუდენტების სასარგებლოდ

I

## შეშლილია

კომედია-დრამა 2 მოქმედ. თარგ. ვ. აბაშიძისა.

II

## ძუნწი

კომედია 2 მოქმედ. გ. ერისთავისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი ნებიერიძისა, გარდლი, ჯავახიშვილისა, აბხაზიშვილისა; ბ-ნნი აბაშიძე, მესხი, გედევანოვი, სიმონიძე, შათირიშვილი, აფაშიძე და სხვ.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია

დასაწყისი 8 საათზე

რეჟისორნი ვ. აბაშიძე და კ. მესხი

სამკურნალო და ამბულატორია

## ს. ვ. თოფურიასი

ქუთაისში.

სამკურნალოში 50 საწოლია ავადმყოფთათვის. მიიღებიან ავადმყოფნი: შინაგანისა, ნერვებისა, საქირურგიო, თვალისა და დედათა ავადმყოფობისანი.

გადამდებ სენით ავადმყოფნი არ მიიღებიან.

ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. შინაგან და ნერვების ავადმყოფობას სწამლობს **ს. ვ. თოფურია**, საქირურგიო და თვალის ავადმყოფობას და სიფილისს—**ფ. კ. ვერრატი.**

დედათა ავადმყოფობას—მკურნალი ქალი **მ. თ. კოზანი.**

ამბულატორიასთან არის კაბინეტი, საექიმო და საბაქტერიოლოგიო გამოკვლევისათვის, ელექტრონით წამლობისათვის და მასსაჟისათვის.

**სამკურნალოს დირექტორი**
**ს. ვ. თოფურია**

Лѣчебница С. В. Топурія, въ Кутаисѣ.

## მთავრობის განკარგულებანი

უმაღლესი ბრძანება სამოქალაქო უწყებას

ქუთაისის ქალაქის თავს ლოლუას მიეცა გუბერნსკი სეკრეტარობა—24 ოქტომბრიდან 1898 წ.

## ახალი ამბავი

✦ რამდენიმე ხანია, უკვე მთავრობამ განიზრახა შესცვალოს ამიერ კავკასიაში არსებული **წესრიგი საკომლო გადასახადისა.** ამ საქნის განსახილველად და პროექტის მოსამზადებლად არჩეულ იქმნა საგანგებო კომისია მთავარ-მართებლის თანაშემწის გენ.-ლეიტენანტის ი. ა. ფრეზეს თავმჯდომარეობით. ამ კომისიამ უკვე შეასრულა თავისი მოვალეობა. გუშინ-წინ, 30 ნოემბერს, კომისიას უკანასკნელი სხდომა ჰქონდა და პროექტი გაიგზავნა ფინანსთა სამინისტროში.

✦ ჩვენ გვატყობინებენ დაწვრილებით **ტფილისის სასულიერო სემინარიის ტაძრის დღესასწაულის გადახდის ამბავს.** წინა დღით ტაძარში მწუხრი ცისკრითურთ შეასრულა საქართველოს ექსარხოსმა ფლაბიანემ, გორის ეპისკოპოსის ყოვლად-უსამღვდელოესის ლეონიდის, ტფილისის სასულიერო სემინარიის რექტორის არხიმანდრიტის ჰერმოგენის და სხვათა თანამწირველობით. მეორე დღეს, 30 ნოემბერს საღმრთო წირვა ტაძარში შესრულებულ იქმნა ექსარხოსის ფლაბიანეს მიერვე ყოვლად უსამღვდელოესთა ლეონიდის და კირიონის და სხვათა მრავალთა სამღვდელო პირთა თანამწირველობით. წირვის შესრულების შემდეგ გადახდილ იქმნა პარაკლისი წმ. ანდრია მოციქულის მიმართ. წირვაზე დღის შესაფერი სიტყვა წარმოსთქვა სემინარიის მოძღვარმა მღვდელმა იასონ ლაპაძემ. ამავე დღეს საღამოს სემინარიის სადღესასწაულო ოთახში მოხდა ლიტერატურულ-მუსიკალური საღამო. სხვათა შორის ქართულად იგალობეს და წაიკითხეს შემდეგი: „დღეს საღმრთომან მადლმან" იგალობა ქართულმა გუნდმა; „ჩემი ლოცვა"—ლექსი ნ. ბარათაშვილისა—წაიკითხა მოწაფე კონსტ. ცაგარელმა; „ქამანი"—ლექსი მ. ფაზელისა, წაიკ. მოწაფე თედორ. ლაფერაშვილმა, „ვედრება ღვთის მშობლისადმი"—პოემიდან „აჩრდილი"; იგალობა ქართულმა გუნდმა; „იუდა" წაისწორისა, ნათარგმნი ილ. ფერაძისაგან, წაიკითხა მოწაფე ალ. მჭედლიშვილმა; „კაცი ის არის", ლექსი ორბელიანისა—მოწაფემ ი. აზიკურიშვილმა; „წინასწარმეტყველი" ა. პუშკინისა, ნათარგმნი ილ. ჭავჭავაძისაგან—მოწაფე ხირსელიშვილმა; „სულო ბოროტო"—ლექსი ნ. ბარათაშვილისა—მოწაფე დ. ონიაშვილმა; „ჩემს მერანს" ლექსი ნ. ბარათაშვილისა—მოწაფე ალ. მჭედლიშვილმა; „ღმერთო! მეფე გვიდღეგრძელე"—იგალობა ქართულმა გუნდმა.

✦ მოვაგონებთ ჩვენს მკითხველებს, რომ დღეს ქართულს თეატრში გამართული იქმნება **წარმოდგენა მოსკოვის სტუდენტების სასარგებლოდ.** სრული იმედია, რომ ქართველი საზოგადოება ამ კეთილ საქმისათვის არ დაიშურებს თავის წვლილს.

✦ ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობამ **კავკავის ქართული სკოლის** მესამე მასწავლებლად დანიშნა ნიკოლოზ კურდღელაშვილი, რომელიც ამ დღეებში უკვე გაემგზავრა ქ. კავკავში. ბ-ნს კურდღელაშვილს, როგორც გალობის კარგ მცოდნეს, საზოგადოებამ დაავალა ხორის შედგენა და აგრეთვე გალობის სწავლება სკოლაში.

✦ ამ ჟამად ტფილისში ჩამოვიდნენ ყველა საბრეშუმო რაიონებიდან მეპარკეები და გრენიორები სხვა-და-სხვა ფირმის გრენის შესამოწმებლად და შემოწმებული გრენის შესაძენად. გრენის ყიდვა-გაყიდვა, „ათინის" და „იტალიი ნომრების" სასტუმროებში სწარმოებს.

✦ უკანასკნელ წლებში ჩვენში უცხო ქვეყნებიდან შემოტანილ აბრეშუმის გრენის (თესლის) რაოდენობა თან და თან მატულობს. შარშან, მაგალითად, მარტო დასავლეთ საქართველოში ასს ფუთზე მეტი გრენი იყო შემოტანილი, რომლის უმეტესი ნაწილი, როგორც თავის დროზე ვაუწყეთ მკითხველს, უვარგისი იყო. წელს უკვე დაიწყეს სხვა-და-სხვა ფირმების გრენის შემოტანა უცხოეთიდან და ჩვენს მეაბრეშუმეებს დიდი სიფრთხილე და წინდახედულება ჰმართებთ, რომ წრეულს დილევით, მოგებისა და სარგებლის მაგივრად წაგება და მწუხარება არ ჰპოვონ თავიანთ შრომაში; მომავალ წლისათვის მაინც ექნეს ჩვენს მეაბრეშუმეებს საშუალება სალი გრენის შეძენისა. ვურჩევთ მათ შეიძინონ მხოლოდ იმისთანა ფირმის გრენი, რომელიც შემოწმებულია სადგურის მიერ და სალ ფირმად არის ცნობილი. ამ ჟამად კავკასიის საბრეშუმო სადგურს გასასინჯად აქვს წარდგენილი თითქმის ყველა უმთავრეს ფირმების ჭიერ 40,000 ყუთი გრენი 240,000 მისხალი. როგორც გამოცდილებამ დაგვანახვა აბრეშუმის გრენის შეძენა შეიძლება არამც თუ მარტო ცელულიარულისა (სალისა, სრულებით უპებრინოსი) არამედ საბაზრო ინდუსტრიალური გრენისაც, ესე იგი, რომელშიაც გასინჯვის დროს ცოტა პებრიცა

აღმოჩნდა (**не болѣе 1 тельца на 25 полейзрѣнія**). ამასთან გრენიდან კარგა მოვლით შეიძლება გიცმა ძლიერ კარგი პარკის მოსავალი მიიღოს, ასე რომ წელს ყველა გაშინჯული ფირმების ყუთებზე ექნება სამ ნაირი ბანდეროლი: 1) სალს გრენას ცელულიარულს თეთრი ბანდეროლი და წითელი ლაქის ბეჭედი. 2) საბაზრო ინდუსტრიალურ გრენას ლურჯი ბანდეროლი და წითელი ლაქის ბეჭედი. 3) ავადმყოფს პებრიანს გრენას წითელი ბანდეროლი და შავი ლაქის ბეჭედი.

გარდა ამისა პებრინიან გრენიან ყუთს ეწერება ქართულად, სომხურად და თათრულად **რომ ავადმყოფია**, რასაც მეაბრეშუმეებმა უნდა მიაქციონ ყურადღება ყიდვის დროს. ჯერ-ჯერობით ფასები შემოწმებული გრენის ყუთები შედარებით შარშანდელ ფასებთან მაინცა და მაინც არ არის დიდი. მაგალითად 1 მანეთი 30 კაპეიკი 2 მან. 50 კაპეიკამდე ყუთი. სასურველია რომ მეაბრეშუმეთა ამხანაგობები ამ თავიდანვე შეუდგებოდნენ შემოწმებულ გრენის მოპოვებას. და შარშანდელივით შეუმოწმებელს გრენა არ გაავრცელონ და დაურიგონ წევრებთა შორის.

წელს მაგალითად „მეაბრეშუმეთ პირველ ამხანაგობას ქუთაისის გუბერნიაში“ დაურიგებია წევრებისათვის 10,000 ყუთზე მეტი შეუმოწმებელი გრენი ხრისტოდულიდის ფირმისა და უმეტესი ნაწილი ამ გრენის რაოდენობისა უვარგისი გამომდგარა.

ზემო მოხსენებული ამხანაგობა ჰყიდდა თითოეულ ყუთს გრენის ნაღ ფულზე 2 მ. 60 კ. და იგებდა თითოეულ 00—50 კაპ. რაც ჩვენის აზრით, სასურველი არა, რადგანაც ამხანაგობის უმთავრესი აზრია მოუპოვოს თავის წევრებს კარგი თვისების გრენა და რაც შეიძლება იაფ ფასად.

დასასრულ ჩვენი მეაბრეშუმეების ყურადღებას მივაქცევთ შემდეგ გარემოებას: 1) არამც და არამც შეუმოწმებელი ფირმის რენა; ႢႢ) შემოწმებულ ყუთებს დააკვირდით. საბრეშუმო სადგურის მის დაკრულს ბანდეროლის ფერს. (თეთრს, ლურჯს და წითელს), 3) არ შეიძინოთ წითელი ბანდეროლიანი და შავი ლაქის ბეჭდიანი ყუთი: 4) სასურველი გრენის შეძენა ნაღდ ფულზე, რადგან მოსავლის წილზე შეძენა გრენის უფრო საზარალოა მეაბრეშუმეთათვის; 5) შეიძინეს იმოდენი ყუთი რამოდენის გამოკვება და მოვლა შეგიძლიანთ.

✦ პეტერბურგში ამ მოკლე ხანში **ორი სადამო** გაუმართავთ; ერთი სომხებს და ერთი მაჰმადიანებს; ორივეს კარგად ჩაუვლია, განსაკუთრებით მაჰმადიანების სადამოს, რომელსაც სხვათა შორის სპარსეთის ელჩიც დასწრებია. ამ სადამოზე უმღერიათ „ქართული სიმღერა“ პომაზანსეისა და „ქართულივე სიმღერა“ მარსეევისა ულეკუროდ და უკინტოუროდ ხომ არც ერთ აღმოსავლეთურ სადამოს არ შეუძლია ჩაიაროს.

✦ წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას ატყობინებენ რომ რამდენიმე ბათუმელ ახალგაზდას განუზრახავს დააარსონ ბათუმში **სახალხო ბიბლიოთეკა**. სათანადო მთავრობას უკვე წარედგინა ბიბლიოთეკის წესდების პროექტი.

✦ ქუთაისის სამხედრო გუბერნატორმა გენერალ-მაიორმა გერშელმანმა ნება დართო ქ.-შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების გამგეობას იქონიოს **სოფ. დიდ-ჯიხაიშში** (ქუთ. მაზ.) **უფასო სახალხო სამკითხველო**. ამ სამკითხველოს გამგედ ხსენებულ საზოგადოების გამგეობამ დანიშნა ადგილობრივი აფთიაქარი ბესარიონ ნიკოლოზის ძე ჩომახიძე.

✦ რკინის გზის გამგეობას ბრძანება გაუცია, რომლითაც ამას იქით ყოველი **სამსახურში შემსვლელი** ქალი თუ კაცი **შემოწმებულ უნდა იქმნას ექიმებისაგან**, და თუ სრულიად ჯან-სალი არ აღმოჩნდა, სამსახურში აღარ იქმნება მიღებული. მიზეზად ამ განკარგულებისა იმას ამბობენ, რომ აქამდე მოსამსახურეთა შორის ძალიან ბევრი ავადმყოფი ერია და გარდა იმისა, ხშირად აკლდებოდნენ სამსახურს, ხშირად თხოულობდნენ წამლებს და ექიმს და დროებით დათხოვნასაც თითქმის ყოველ. წლივ თხოულობდნენ. გარდა ამისა, სამსახურიდან გასვლისას ავადმყოფობისა გამო.

✦ ნაძალადევისა და დიდუბის მცხოვრებლებმა სთხოვეს გუბერნატორს, მიეწერა რკინის გზის გამგეობისათვის გაეხსნა გზა რკინის გზის ლიანდაგზე დიდუბისა და ნაძალადევის შესაერთებლად და მიმოსვლის გასაადვილებლად გუბერნატოოს მისვლია პასუხი რკინის გზის გამგეობისაგან, რომ იგი თანახმაა მე-288 ვერსზე მე-7 პიკეტთან, პატარა ხიდთან გახსნას ლიანდაგ ქვეშ გზა სიგანით 1 საჟენი, რადგან გუბერნატორის აზრით ეს გზა სრულიად არ დააკმაყოფილებს ზემო აღნიშნულ უბანთა მცხოვრებთ, ამისათვის იმან დანიშნა კომისია, რომელიც შესდგება გუბ. ინჟ. ბუტკევიჩისგან. რკინის გზის წარმომადგენლისაგან და პოლიცმეისტერისაგან ასარჩევად იმ ადგილისა, სადაც საშუალო იქნება რიგიანი გზის გახსნა.

✦ 1 დეკემბერს ქალაქის გამგეობის დარბაზში შესდგა ვაჭრობა **ავლაბრისა და კუკიის მინდვრების იჯარით გაცემისა**. ვაჭრობას მრავალი მსურველი დაესწრნენ. სხვათა შორის ბევრნი იყვნენ ავლაბრის მცხოვრებნი და ტფილისის ყასბები, რომელნიც თავიანთ საქონლებს აძოვებდნენ ამ მინდვრებზე. ავლაბრის მინდვრები დარჩა მარტიროზ ნურუფაროვს, როგორც ავლაბრის მცხოვრებთა წარმომადგენელს, რომელთაც ნურუფაროვისათვის რწმუნების წერილი მიუციათ. ამ მინდვრებით ავლაბრის მკვიდრნი მცხოვრებნი თითქმის სრულიად არ სარგებლობენ, რადგან ესენი წინანდებურადარ მისდევენ ხვნა-თესვას და არც საქონლის მოშენებას. შემოსავლით სარგებლობენ მოიჯარადრენი და ისინი ვისი რწმუნებით სარგებლობენ მოიჯარადრენი. ავლაბრის მინდვრები სივრცით 2400 დესეტინა დარჩა ზემოხსენებულ ნურუფაროვს 3420 მანეთად წელიწადში, აქამდე კი 3100 მან. იყო გაცემული. ეს ფასი ძალიან მცირეა, თუ მივიღებთ მხედველობაში იმ გარემოებას, რომ, 1) ქალაქს ამ ორის ადგილის მეტი საძოვრად არა აქვს რა ახლო-მახლო; 2) ამით სარგებლობენ ქალაქის ყასბებ და ჩოდრები, და 3) აუარებელ ბალახს სთიბავენ.

კუკიის მინდვრები, სივრცით 880 დესეტინა დარჩა ნონიევს, 1985 მანეთად. აქამდე კი 1360 მანეთად იყო გაცემული. ეს ვაჭრობა უნდა დამტკიცებულ იქმნას საბჭოსა და გუბერნატორის მიერ.

✦ 5 დეკემბერს, ქალაქის გამგეობას საქონლით სავაჭრო მეიდანი გადააქვს ნავთლუღში, საყასბოსთან, სადაც ამისათვის მომზადებულია ბაკი განყოფილებით წვრილი და მსხვილი საქონლისათვის. ამ დღესვე აკურთხებენ ბაკს და კურთხევას დაესწრებიან როგორც ქალაქის გამგეობა, ისე გარეშე, მოწვეულნი პირნიც.

✦ ქალაქის გამგეობამ დაადგინა თანხმად ს.-საექიმო ინსპექტორის სტეფანოვის წინადადებისა შეისყიდოს სხვა-და-სხვა საბაქტეორიოლოგიო იარაღები ქალაქის მილის წყლების დრო-გამოშვებით გასასინჯად.

✦ ქალაქის გამგეობამ თანხმად გამგეობის წევრის ბ. შესტაკოვის მოხსენებისა დაადგინა: 1) საერო სახელმწიფო ხარჯის გაწერა ტფილისის მამულებზე იქმნას, თანხმად საბჭოს დადგენილებისა 17 ოქტომბერს 1888 წ.—თვით გამგეობის მიერ.

2) ამ ხარჯის გაწერა მოხდეს თანხმად 1897 წ. დაფასებისა.

3) ხარჯის გაწერის დროს შესახებ განაპირად მყოფ მამულებისა იხელმძღვანელონ ქალაქის გამგეობის 22 ნოემბრის 1888 წ. დადგენილებით, რომელიც დამტკიცებულ იქმნა 16 იანვარს 1889 წ.

ტფ. გამგეობის წევრმა თ. ჩერქეზიშვილმა წინადადება შეიტანა გამგეობაში უსუფთაო წყლის გასაყვან მილის გაკეთების შესახებ ოლგინის ქუჩაზე. ქალაქის გამგეობამ დაადგინა გადიდოს 500 მან. ხსენებულ მილის გასაკეთებლად.

✦ კავკასიის საიმპერატორო სამკურნალო საზოგადოების თავმჯდომარემ მოსთხოვა ქალაქის გამგეობას 200 მან. ქალაქის წყლის ბაქტეორიოლოგიურად და ხიმიურად გასაშინჯად, თანახმად ქალ. გამგეობის თხოვნისა.

ქალაქის გამგეობამ დაადგინა გაუგზავნოს 200 მან. და ამასთან სთხოვოს, გარდა ავჭალის წყლისა, საზოგადოებამ გასინჯოს ნატახტარის წყაროს წყალიც.

---

## „ცნობის ფურცლის“ დეპეშები

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

30 ნოემბერი

**სანტანდერ.** ასაფეთქებელ ნივთიერებათა საწყობში საშინელი აფეთქება მოხდა. ერთი კაცი მოკლულია, სამი დაჭრილი. შენობა დაინგრა.

**არხანგელსკი.** ზოგიერთ სოფლებში შესამჩნევ ცუდი მოსავლის გამო გლეხობა გაჭირვებაშია.

**ხარკოვი.** ოლქის სასამართლო არჩევს ხუთი გლეხის საქმეს, რომელთაც ბრალდებათ სახალხო მატარებლის დაღუპვის განზრახვა ბალაშევის რკინის გზაზე. ოთხი მათგანი დამნაშავედ იცვნეს, ერთი—გაამართლეს.

**მოსკოვი.** ლევ ტოლსტოი უკეთ არის. დღეს საწოლიდან ადგა და ოთახში გაიარ-გამოიარა.

**ლონდონი.** „დაილი ტელეგრაფი“ მწუხარებით აცხადებს, რომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინგლისელ მოკლულთა და დაჭრილთა რიცხვი 4572 არის მიუხედავად იმისა, რომ ომი ახალი დაწყებულია.

**დუბლინი.** დღეს ქალაქის საბჭოს საგანგებო სხდომა მოხდა, რომელზედაც მსჯელობა ჰქონდათ ტრანსვაალის ომის საწინააღმდეგო რეზოლიუციის შესადგენად.

**პარიზი.** „ჰავასის სააგ.“ უმაღლესი სასამართლო. გრაფი დიონი ჩვენებამდე სხვა და სხვა შენიშვნას იძლევა. თავმჯდომარემ ბრძანა დარბაზიდან გაეყვანათ. (ხმაურობა). კაილის სამის თვის ციხე გადაუწყვიტეს და აუკრძალეს სასამართლოს სხდომებზე დასწრება, ვიდრე მხარეთა კამათი დაიწყება. ბრიუნეს აეკრძალა რვა სხდომაზე დასწრება, დიუბიუს — ორზე. სხდომა გათავდა.

**მადრიდი.** „ჰავასის სააგ.“ პალატა 131-ს ხმის უმეტესობით, წინააღმდეგ 83-ისა, უარ-ჰყოფს რომანონესის წინადადებას, რომელიც თხოულობს, რომ საზღვაო ხარჯთაღრიცხვა გამოკლებულ იქმნას საზოგადო ბიუჯეტიდან. სილველა ამ წინადადების წინააღმდეგ ლაპარაკობდა.

**ვაშინგტონი.** „რეიტერის სააგენტო“. სენატი. მორგანს შეაქვს წინადადება იმის შესახებ, რომ აღეკრძალოთ შეერთება იმ კორპორაციებს, რომელთაც აზრად აქვთ ხელში ჩაიგდონ ვაჭრობა, ავზაო საქმეები იმ განზრახვით, რომ სურვილისამებრ მოუმატონ ფასი ამა თუ იმ საქონელს.

მსჯელობის დროს მესონი გაახსენებს უკვე გამოცხადებულს რეზოლიუციას იმის შესახებ, რომ სენატი თვალ-ყურს ადევნებს ბურების ომს თავისუფლებისათვის აღვსილი საუკეთესო სურვილებით. მესონის გრძელი სიტყვა სენატორებმა და საზოგადოებამ დიდის ყურადღებით მოისმინეს. მესონი ამბობს, რომ მონროეს დოკტრინა (ამერიკა-ამერიკელებისათვის) და წარსული შეერთებული შტატებისა აძლევს ამერიკელთ უფლებას გამოუცხადონ ბურებს თავისი თანაგრძნობა. სენატი იმედოვნებს, რომ ბურები თავისუფლებისათვის ბრძოლაში გაიმარჯვებენ ისე, როგორც ამერიკელებმა გაიმარჯვეს ესპანიელებზედ. ორატორი იხსენიებს მამაც ჰოლანდიელთ, რომელნიც იცავენ თვის მამულს. რეზოლუცია გარდაეცა გარეშე საქმეთა კომისიას.

## 1 დეკემბერი

**ხარკოვი.** საბჭომ ქალაქის სკოლების მასწავლებლებს ჯამაგირი 520 მ. გაუხადა წელიწადში. ამ ხარჯის დასაფარავად ქალაქის მოურავმა გოლენიშჩევ-კუტუზოვმა მოისურვა თავისი ჯამაგირიდან 2000 მ. გადადება.

**ვენა.** „კორრ. ბიურო“. ავსტრიის დელეგაციამ ხარჯთ-აღრიცხვის კომისიისამ განიხილა-რა სამხედრო უწყების ხარჯთ-აღრიცხვა, მიიღო იგი.

კამათის დროს სამხედრო მინისტრმა, სხვათა შორის სთქვა, რომ ჯარმა არ იცის რა არის ავსტრიის ერთა შორის გამწვავებული ბრძოლაო; ყოველი პოლიტიკური აგიტაცია ჯარში სასტიკად განდევნილ იქმნება და თუ ეს კითხვა ამ ჟამად გამწვავდა, ეს მხოლოდ შედეგია უსინიდისო წაქეზებისაო.

**ლონდონი.** გენერალი გატეკრი დეპეშით იუწყება, რომ სტორმბერგზე იერიშით მისვლა გამარჯვებით უნდა გათავებულიყო, მაგრამ საქმე ცუდად წავიდა, რადგანაც ჩვენი ჯარი მაცდურობით სხვა გზით წაიყვანეს. ჯარი იძულებული იყო შორი გზით შემოევლო. ინგლისელთ ერთი ზარბაზანი დაეკარგათ, რომელიც თხრილში გადავარდა; მეორე კი სილაში ჩაეფლო. გატეკრი იუწყება, რომ მას უპყრია ბუშმანბეკი და სიპარგეტი. ნორტუმბერლანდის პოლკი ამაოდ ცდილობდა გაედევნა მტერი მაღლობიდან. ირლანდელ მსროლელთა რაზმი კარგად იბრძოდა. დაკარგულთა რიცხვი — 366.

**ოდესა.** ზღვის ღელვის დროს დაზიანდა ფოთის ნავთ-სადგურში „აზოვის საზოგადოების“ გემი „ბათუმი“, რომელიც დაეჯახა ნავთ-სადგურის კედელს. მგზავრები გადაარჩინეს. გემმა გზის გაგრძელება ველარ შესძლო.

**ხარკოვი.** ქალაქის საბჭომ დაიწყო ხარჯთ აღრიცხვის განხილვა. გასავალი აღემატება 2,063,000 მან. დეფიციტი იქნება 65000 მან.

**ლონდონი.** საკუთარი კორ. დუბლინის ქალაქის საბჭოს კრებაზე, რომელზედაც უნდა ექონიათ მსჯელობა ომის წინააღმდეგ ზიზღის გამოცხადების შესახებ, დაესწრო მხოლოდ 14 წევრი და ესენიც ერთმანერთში ვერ მორიგდნენ. საზოგადოდ ინგლისის პოლიტიკური პარტიები არაფრად აგდებენ აგიტაციას ირლანდიაში.

**ლორენცო მარკეზი.** „რეიტერის სააგენტო“ პრეტორიიდან მოსულ ცნობებისაგან სჩანს, 27 ნოემბერს, ინგლისის ჯარი დაეცა მტერს კიმბერ ლენთან იმ განზრახვით, რომ დაეჭირა ბურების პოზიცია კამპერდაუნთან და ამ გვარად ჰსურდათ ხელთ ჩაეგდოთ წყლის მილები; არც ერთი ტყვია ინგლისელების გასროლილი, მიზანში არ მოხვედრილა.

დაწვრილებით ცნობებს ბრძოლის შესახებ მოელიან შემდეგ.

**ფრერი.** „რეიტერ. სააგ.“ ბრიტანიის ცხენოსანი ჯარი დღეს კოლენზოსთან შეებრძოლა ბურების რაზმს, რომელიც რამდენიმე ასი კაცისაგან შესდგებოდა. ბურები გადაეიდნენ მდინარის მეორე ნაპირას, რის შემდეგ ორივე მებრძოლთა ბანაკებიდან ხანგრძლივი თოფის სროლა მოისმოდა. ამ სროლას ცუდი შედეგი არა ჰქონდა. ბურებს უჭერიათ მაღლობებზე მძლავრი პოზიცია. რკინის გზის ხიდი კოლენზოსთან დაზიანებულია.

**ლონდონი.** „რეიტერის სააგენტო“. ლას-პალმასიდან იუწყებიან, რომ გემი **„Denton grange“** სამხედრო სურსათით დაეჯახა კლდეს და დაზიანდაო.

**ლონდონი.** „რეიტერის სააგენტო“. სამხედრო სამინისტრომ მიიღო შემდეგი დეპეშა ბულლერიდან: „მე მივიღე გენერალი უაიტისაგან დეპეშა 11 დეკემბერს გამოგზავნილი, რომლითაც ის იუწყება, რომ წინა ღამეს მეტკელიერ 1500 კაცით ლედი-სმიტიდან გამოვიდა, რათა წაერთმია ბურებისათვის სიურპრიზგოლემი. მსროლელთა რაზმი აეიდა მთაზე, განდევნა მტერი და დაამსხვრია მტრის ზარბაზანი. როდესაც ჩვენი ჯარი უკან დაბრუნდა მათ წინ დაუხდა მტერი. ინგლისელებმა დაამარცხეს იგინი და თავისს გზას გაუდგნენ. ბურების მხრით ბევრი მეომარი დაიხოცა. ინგლისელთა მხრით მოკლულია ერთი ოფიცერი და 10 ჯარის კაცი. დაჭრილია 3 ოფიცერი და 40 ჯარის კაცი; გარდა ამისა ბურებმა ტყვეთ წაიყვანეს 6 კაცი, რომელნიც ბრძოლის ველზე დარჩენ დაჭრილთა მოსავლელათ.

საინჟინერო რაზმიდან ერთი მოკლულია და ერთიც დაჭრილი!

რედაქტორ-გამომცემელი
**ვალერიან გუნია**

# ნიხრი

(ტაქსია)

| | | | |
|---|---|---|---|
| ხორცი ძროხისა | 1 გ. | — $7^1/_2$ | კ. |
| სუკი | 1 „ | —12 | კ. |
| „ ცხვრისა | „ „ | — 8 | კ. |
| „ კამეჩისა | „ „ | — 5 | კ. |
| „ ღორისა | „ „ | — 5 | კ. |
| „ ღორის ბარკალი სალორეთ | 1 „ | — 9 | კ. |

(ძროხისა და ცხვრის ხორცს იის ფერი ბეჭედი ადევს, კამეჩს—მწვანე, ღორს—დამღა).

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| პური ფურნისა | I ხარისხ. | 1 | გ. | 5 | კ. |
| „ „ | II | „ | „ | $3^1/_2$ | „ |
| „ „ | III | „ | „ | 3 | „ |
| იგივე თორნისა | I | „ | „ | 5 | „ |
| „ „ | II | „ | „ | 4 | „ |
| „ „ | III | „ | „ | $3^1/_2$ | „ |
| ლავაში ჯვარის მამ. | I | „ | „ | 6 | „ |
| „ „ | II | „ | „ | 4 | „ |

—

### ტფილისის ბაზრები

| გაიყიდა: | | მეიდნებზე | | ვოკზალზე | |
|---|---|---|---|---|---|
| ხორბალი საუკეთ. | ფუთი | მ. | კ. | მ. | კ. |
| | 1 | 1 | 30 | 1 | 20 |
| ხორ. წითელი . . | 1 | 1 | 10 | 1 | 5 |
| ქერი . . . . . | 1 | — | 80 | — | 77 |
| სიმინდი . . . . | 1 | — | 60 | — | — |
| ფქვილი სოფლისა . | 1 | 1 | 20 | — | — |
| „ უცრო მდარე | 1 | 1 | 10 | — | — |
| კომბოსტო . . . | 1 | — | 45 | — | — |
| კართოფილი. . . | 1 | — | 60 | — | — |
| ხახვი. . . . . | 1 | 30კ.-40კ. | | — | — |
| თივა . . . . . | 1 | — | 40 | — | — |
| ბზე . . . . . . | „ | — | — | — | — |

შეშა რცხილისა 1 სრული საჟ. საწყობებში 36 მ, შეშა ნარევი 28 მ. ცხვარი თუშისა 4 მ.-დამ 4 მ. 60 კაპ.-მდე, ცხვარი თათრული 2 მ. 50 კ.-დამ 3 მ. 80 კ.-მდე, ღორი ადგილობრივი ჯიშისა 5 მ.-დამ 6 მ. 50 კ.-მდე, ძროხა და ხარი აქაური, საკლავი 19 მ.-დამ 35 მ.-მდე, ხარი შესაბმელი, 5 მ.-დამ — მ.-მდე, კამეჩი საკლავი 18 მ.-დამ 32 მ.-მდე, კამეჩი შესაბმელი —

—

### რუსეთის ბაზრები

ფქვილი როსტოვში.

| | | |
|---|---|---|
| ხარისხი . . | № 0—9 მ. | 50 კ. |
| | № 1—8 „ | 75 „ |
| | № 2—8 „ | — „ |
| | № 3—7 „ | 50 „ |
| | № 4—7 „ | 25 „ |
| | № 5—7 „ | — „ |
| | № 6—6 „ | 75 „ |
| | № 7—6 „ | 50 „ |

მოტანა ტფილისამდე 1 ფ. 87 კ.
შაქარი იქვე ფუთი 5 მან. 80 კ.
„ ფშხვნილი „ 4 „ 90 „
მატყლი ისპანიური, თეთრი ფ. 10 მ.— 11 მ. 85 კ., მატყლი 10% შავ-ნარევი—ადგილობრივი—3 მ. 25 კ—6 მ. 50 კ., იგივე გარეცხილი 8 მ. 37 კ.

—

**ქალაქის სახელმწიფო სააგადმყოფო,** მიხეილის ქუჩა, სახელმწიფო სახლი. ფასი საერთო ოთახში—12 მ. თვ. ცალკე ოთახში – 60 მ. თვ.

—

**ქალაქის სამკურნალო,** მუხრანის ქუჩა, სახლი ტერ-ოსიფოვისა. რჩევა 30 კაპ. ღარიბთათვის რჩევაცა და წამლობაც უფასოა. სამკურნალოს გამგე ექიმი გ. თარხანოვი.

—

**ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი: ავლაბრისა,** კახეთის ქუჩა, სახლი ტერტეროვისა. გამგე-ექიმი მირაქოვი.

—

**კუკიისა,** ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელქუმოვისა. ექიმი ნ. კასუმოვი.

—

**ხარფუხისა,** ვორონცოვის ქუჩა, სახლი იედიგაროვისა. ექიმი ტერ-ასტუროვი.

—

**თვალების სამკურნალო,** ელისაბედის ქუჩა, სახლი ჩითახოვისა. ავადმყოფებს უფასოდ აძლევენ რჩევას. გამგე ექიმი გ. ტარსაიძე.

—

**ქალაქის საავადმყოფო სულით-ავადმყოფთათვის,** უფასო—იმყოფება კოჯრის ქუჩაზე, ბაროჩესა ტიზენგაუზენისა და ეჯუბოვის სახლში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

—

სიფილისით ავადმყოფ ქალთათვის საავადმყოფო იმყოფება ავლაბარში, პეტრე-პავლეს ეკკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 15 ადგილი—ფასიანი. ფვეში ღირს 12 მან. ექიმი ისტამანოვი.

—

გადამდებ სენით ავადმყოფთათვის უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი გულულიანცი.

—

ქალაქის უფასო ღამე თავ-შესაფარი სახლები:

1) ვორონცოვის ქუჩა, მეორე ნაწილი, სახლი მელიქიანცისა.
2) დიდუბე, სახლი გოლდლიუსტისა.

!!მიაქციეთ ყურადღება!!

# ჩინეთის მაღაზია

**დ. ფ. დემენტიევისა**

გოლოვინის პროსპექტი, ზუბალაშვილის ... სობრანიეს პირდაპირ.

**იმემეთ ჩაი** პირველი მოკრეფისა 1898 წლისა

მშვენიერი ყნოსვისა და სასიამოვნო გემოსი

ჩაი და ყავა იყიდება **წვრილად და პარტიობით**

ყოველს მყიდველს ჩვენის ჩაისას დაეთმობა მანათზე აბაზი და საჩუქრად მიიღებს ჩინეთის, იაპონიის და სხვა საჭირო და საოჯახო ნივთს.

ვინც 12 ან მეტ გირვანქა ჩაის იყიდის ჩვენგან იმას

**საჩუქრად მიეცემა ჩაის სერვიზი**

იქვე მრავალგვარი ჩინეთის და იაპონეთის ნივთებია

**საჩუქრებისა და ნიშნობებისათვის**

მაღაზიები იმყოფება როსტოვ-დონზე, კიევში, ოდესაში, იალტაში, ნიკოლაევში, ეკატერინოდარში, ხარკოვში, ეკატერინოსლავში პიატიგორსკში და ტფილისში

!!მიაქციეთ ყურადღება!! (100—86)

ახლად გახსნილი საწვრილმანო და საპარტიო სავაჭროდ

# „უნივერსალნი მაღაზია“

**კ. გ. ყარიბოვისა** (ტფილისში, პუშკინის ქუჩაზე, პუშკინის პასაჟი)

მუდმივ იყიდება ახალი საგალანტერიო, საოჯახო, სამრეწველო და სხვა მრავალგვარი საქონელი პირდაპირ ქარხნიდან გამოწერილი

**ეს არის ახლად მიღებული დიდძალი**

ქოლგები. თეთრეული. კორსეტები. წინდები. ჩულქები. ფუფაიკები. ჟერსე. პერჩატკები. კრუჟევა რუსული და გრან. შალები თბილი. შარფები. ყელსახვევი (ბოა).

შლიაპები. სარტყლები. მოსართავები. ლენტები ყოველნაირი. ბაღდადები. ხელსახოცები. ყელსახვევები. პირბადეები. აგრამანტები. გამაშები. რედიკულები. ალბომები.

სარკეები. ნესესერები. პორტმონები. სანობათო ნივთები. საქორწილო სამკაულები. საბავშო ტანსაცმელები. ქალების კაბების საკაზმები. ფანჯრის ტულები. ქსოვილი სუფრები. საბნები ქსოვილები. ბალიშის პირები. ბამბები შალისა. ყოველგვარი ფერისა.

კალოშები. სამრეწველო საქონელი. **არტურ კრუპპის ქარხნის** ლითონეულობის ნაკეთობა. **„ალპაკას“ ნახელოვნები,** სქლად მოვერცხლებული. **სამზარეულო ჭურჭლები,** წმინდა ნიკელიდან სასტუმროებისა და ოჯახისათვის. **შუშები** ფანჯრებისათვის მოგემიდან.

ფასები ყველაფერზე სულ მცირეა, უკანასკნელი და გადაჭრილი ✦ ჩვენი საქონლის უპირატესობას, სიკარგესა და გამოსადეგობაში შეიძლება ყველა პირადად დარწმუნდეს. მაღაზიას ყოველ კვირა სულ ახალ-ახალი საქონელი მოსდის. (50—22)

# განცხადებანი

ქართველთა ამხანაგობის, წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების და კ. თავართქილაძის წიგნის მაღაზიებში ისყიდება

**გლეხი-კაცის ისტორია, ერკმან-შატრიანისა:**

| | | | |
|---|---|---|---|
| ნაწილი | I | საერო კრება | 60 კ. |
| | | იგივე კარგ ქაღალდზე | 75 „ |
| ნაწილი | II | სამშობლოს განსაცდელი | 60 „ |
| | | იგივე კარგ ქაღალდზე | 75 „ |
| ნაწილი | III | წელიწადი პირველი რესპუბლიკისა | 1 მ. 20 „ |
| და ნაწილი | IV | მამულიშვილი ბონაპარტი | |
| | | იგივე კარგ ქაღალდზე | 1 მ. 50 „ |

ბრწყინვალება, დრამა 3 მოქმ. პოლ-ერვიესი . . . 30 „
ივდითი, ტრაგედია 5 მოქმ. ჯიაკომეტისა . . . 30 „

პირველი ნაწილი ცალკე აღარ იყიდება

# ისტორიული ნარკვევი

ანუ

**ქრისტომატია საქართველოს ისტორიისათვის**

შედგენილი

**ალექსანდრე წულუკიძისაგან**

მოწონებულია კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველისაგან სამუალო სასწავლებლების ბიბლიოთეკებისათვის

ფასი 1 მ. 50 კაპ.

ისყიდება ყველა ქართულ წიგნის მაღაზიებში.

—

დაიბეჭდა და ისყიდება

წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში

ახალი ქართული წიგნი

# სიტყვიერების თეორია

სალიტერატურო ნიმუშების კრებული ანუ ქრისტომატია

წიგნი შედგენილია

ალექსანდრეს გიმნაზიის კირილეის და გრ. ყიფშიძის-მიერ

ფასი 1 მანეთი

ვინც ათს ცალზე ნაკლებს არ იყიდის, წიგნი დაეთმობა 80 კაპ.

ქალაქ გარეშე მცხოვრებთ ფას-დადებით შეუძლიანთ დაიბარონ ამ ადრესით: Тифлисъ. Книжный магазинъ Общества грамотности.